

ეტალონის წარმატებული შედარება COOMET-ის ფარგლებში

საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო მონაწილეობს სახელმწიფო ეტალონების საერთაშორისო შედარებებში, მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET-ის (ეროვნული მეტროლოგიური ინსტიტუტების ევრო-აზიური თანამშრომლობის ორგანიზაცია) ფარგლებში.

მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში ქ. მინსკში, ბელორუსიის მეტროლოგიის ეროვნულ ინსტიტუტში (БелГИМ). ჩატარდა სააგენტოს ტემპერატურის ერთეულის პირველადი ეტალონის შედარებების პირველი ეტაპი - ტემპერატურის ეტალონის ძირითადმა რეპერულმა წერტილმა - წყლის სამმაგი წერტილის ამჟღავნებით წარმატებით გაიარა შედარებები.

სააგენტოში ჩამოტანილ იქნა პლატინის წინაღობის თერმომეტრი ПТС - 25, რომლის საშუალებითაც ჩატარდება ტემპერატურის ერთეულის ეტალონის საერთაშორისო შედარებების მეორე ეტაპი.

შედარებების წარმატებით დასრულების შემთხვევაში მოხდება სააგენტოს ტემპერატურის პირველადი ეტალონის მახასიათებლების დადასტურება რეგიონალურ და შემდგომში საერთაშორისო დონეზე.